ევროკავშირის მხარდაჭერა საქართველოს სოფლის მეურნეობას

საქართველოს მოსახლეობის თითქმის ნახევარი სოფლის მეურნეობაშია ჩართული, შესაბამისად, ამ სფეროში ნებისმიერი წინსვლა დიდი შედეგის მომტანია. გასულ წელს, ENPARD–ის პროგრამის ახალი ფაზის ფარგლებში, ევროკავშირმა და FAO-მ საქართველოში სოფლის მეურნეობის თანამედროვე პრაქტიკის დანერგვა და მთავრობის სასოფლო-სამეურნეო ექსტენციის მხარდაჭერა აქტიურად დაიწყეს. წლევანდელი მოსავლით შედეგები უკვე სახეზეა.

რა გავაკეთეთ?

ქვეყნის მასშტაბით 19 სადემონსტრაციო ნაკვეთი მოვაწყვეთ, რათა ფერმერებისთვის თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკის სარგებელი უშუალოდ გვეჩვენებინა

600–ზე მეტი ფერმერი და სპეციალისტი ახალ სასოფლო-სამეურნეო მეთოდებში **გადავამზადეთ**

ფერმერები გასაღების ბაზრებთან დავაკავშირეთ მათი პროდუქციის უკეთ რეალიზებისთვის

აგრონომთა სასწავლო პროგრამა ჩამოვაყალიბეთ და 10 ახალგაზრდა აგრონომი გადავამზადეთ

ფერმერებისთვის Covid-19-ის კრიზისის შესამსუბუქებლად, სარწყავი სისტემების მოსაწყობად და **სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შესაძენად 4.2 მილიონი ლარის გრანტები გავეცით**

რა ახალი მეთოდები დავნერგეთ?

✓ **ნიადაგის ნულოვანი და მინიმალური დამუშავება** ნიადაგდამცავი ტექნოლოგიის მეთოდებია. ისინი ენერგეტიკულ, შრომით, მატერიალურ დანახარჯებთან ერთად, ნიადაგის ფიზიკურ თვისებებზე უარყოფით ზემოქმედებასაც ამცირებენ

✓ **ნიადაგის დამულჩვით დამუშავების ტექნოლოგია** ტენის დასაგროვებლად და შესანახად, ასევე წვიმების დროს ნიადაგის ჩამორეცხვისა და ზედმეტი დატენიანებისაგან ნაწვერალის და სხვა მცენარეული ნარჩენების გამოყენებით დაცვას გულისხმობს

✓ **წვეთოვანი მორწყვა** საშუალებას აძლევს წყალს მცენარის ფესვებამდე მიაღწიოს და 40%-ით უფრო ეფექტურია, ვიდრე ზედაპირული მორწყვა და 20% უფრო ეფექტურია, ვიდრე სასხურები. ის აკონტროლებს სარეველებს, ამცირებს ეროზიას და ზოგავს დროს

✓ **კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობა** მიზანია სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობის და შემოსავლის მდგრადი ზრდა, კლიმატის ცვლილებისადმი ადაპტირება და გამძლეობა, და სასათბურე გაზების ემისიების შემცირება და/ან მოხსნა

✓ **მავნებლების ინტეგრირებული მართვა** მოსავლის წარმოების და დაცვის მიდგომაა, რომელიც აერთიანებს მართვის სხვადასხვა სტრატეგიას და პრაქტიკას, ჯანსაღი მოსავლის გასაზრდელად და პესტიციდების მოხმარების მინიმუმამდე შესამცირებლად

✓ **ბაზოები** ხელს უწყობს სარწყავი სისტემების ეფექტიანობას და იცავს წყალდიდობისგან

✓ **ახალი კულტურები**, როგორიცაა ტკბილი სიმინდი, სალათის ფოთოლი და ბროკოლი საქართველოში ადვილად იზრდება და მათზე საკმაოდ დიდი მოთხოვნაა

რა შედეგები გვაქვს?

„რეკომენდაციები გავითვალისწინეთ და ბადრიჯნის წარმოება ოთხჯერ გავზარდეთ. პროდუქციაზე მუდმივი მოთხოვნა გვაქვს.“

დათო კაპანაძე, ფერმერი ლაგოდეხიდან, კახეთი

„მოსავალი 40%ით გავზარდე, ხოლო ხარჯები 30%ით შევამცირე, თან არც გვალვამ დამაზარალა, ჩემი მეზობლებისგან განსხვავებით.“

ლუდა მანუილოვა, ფერმერი ლაგოდეხიდან, კახეთი

„ბროკოლი, როგორც ახალი ბოსტნეული, საკმაოდ პოპულარულია და მასზე წლის განმავლობაში მაღალი მოთხოვნა მაქვს.“

გიორგი აბულაძე, ფერმერი წალკიდან, ქვემო ქართლი

„წელს, ხორბლის მოსავალი 20%ით ნაკლები დანახარჯით და გაცილებით ნაკლები შრომით მივიღე.”

გიორგი ხოსროშვილი, ფერმერი დედოფლისწყაროდან, კახეთი

სამომავლო გეგმები

*საგრანტო პროგრამა წელს დაიწყო და 2022 წლამდე გაგრძელდება. ფერმერებისთვის კიდევ **ბევრი ტრენინგი ჩატარდება** და დამატებით **14.7 მილიონ ლარამდე გრანტი გამოიყოფა.***

თანამედროვე სოფლის მეურნეობის სარგებელი

ევროკავშირის და FAOს სადემონსტრაციო ნაკვეთები საქართველოში

- ✓ *გაზრდილი მოსავალი*
- ✓ *დაზოგილი რესურსი და ხარჯები*
- ✓ *ხარისხიანი მოსავალი*
- ✓ *გასაღების ბაზრებზე უკეთესი წვდომა*

*ეს ინიციატივა ევროკავშირის ENPARDის პროგრამის მხოლოდ ერთი ნაწილია. პროგრამა 2013 წელს დაიწყო და მისი **ბიუჯეტი 179,5 მილიონი ევროა**. მხარდაჭერა გულისხმობს ევროკავშირის საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებას და შესაბამის პოლიტიკასთან და კანონმდებლობასთან დაახლოებას, რათა **სოფლის მეურნეობა უფრო კონკურენტუნარიანი გავხადოთ და ცენტრალურ და ადგილობრივ დონეზე ადმინისტრაციული შესაძლებლობები გავაძლიეროთ.***

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ www.FAOGRANTS.GE და www.ENPARD.GE

#EU4Georgia
#EU4Agriculture
#AGoodHarvest

ფერმერების ისტორიები

ევროკავშირი საქართველოსთვის
The European Union for Georgia

Food and Agriculture Organization of the United Nations